

# შიგა კონტროლის სისტემის

## განვითარება და სრულყოფა

### ველურ მცენარეთა შეგროვებითი საქმიანობისთვის



2010 წლის ნოემბერი

ფილიპ ლეონჰარტსბერგერი, ეკოლოგიური მარკეტინგის ინსტიტუტი (IMO)



ველურ მცენარეთა შეგროვების შიგა კონტროლის სახელმძღვანელო (Fairwild)

IMO - ეკოლოგიური მარკეტინგის ინსტიტუტი  
Weststrasse 51  
CH-8570 Weinfelden  
Switzerland  
Tel: +41-71-6260626  
Fax: +41-71-6260623  
Email: imo@imo.ch  
www.imo.ch

### **უფლებების უგულებელყოფა:**

დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია წერის მომენტში სინამდვილეს შეესაბამება. თუმცა, ის მკითხველს გადაეცემა გამომცემელთა ან ავტორთა მხრიდან ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე და არ ათავისუფლებს მკითხველს კანონმდებლობასთან შესაბამისობის ვალდებულებისაგან.

გამოცემის ავტორები და გამომცემლები არ იძლევიან რაიმე სახის გარანტიას, გამოხატულს თუ ნაგულისხმევს, წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტესთან დაკავშირებით და არ არიან პასუხისმგებელი იმ ზიანსა თუ პრეტენზიებზე, რაც ამ გამოცემის ან მასში მოცემული ინფორმაციის გამოყენებას უკავშირდება.

არავის აქვს უფლება რაიმე მიზეზით განაახლოს ან შეასწოროს წინამდებარე გამოცემა, მიუხედავად იმისა შეიცავს თუ არა ის ახალ ან წინააღმდეგობრივ ინფორმაციას ან ცვლილებებს კანონმდებლობაში, დადგენილებასა და იურისდიქციაში.

## შინაარსი

1. ძირითადი მონაცემები და პრინციპები.....	3
2. რა არის შიგა კონტროლის სისტემა (ICS)?.....	4
3. შიგა კონტროლის სისტემის (ICS) სტრუქტურა .....	4
3.1. შემგროვებელთა დამტკიცების ეტაპები.....	4
3.2. შიგა კონტროლის სისტემის (ICS) დოკუმენტაცია .....	7
3.3 ორგანიზაცია და შიგა კონტროლის სისტემის (ICS) პერსონალი .....	10
4. რისკის შეფასება .....	14
5. ტრენინგი .....	16
6. გარე სერთიფიცირება.....	17
7. შიდა კონტროლის სისტემის განვითარების ძირითადი საფეხურების მიმოხილვა .....	18
8. რეკომენდაციები .....	18
9. დანართი .....	19
FairWild–ის შიგა ინსპექტირების ფორმა.....	19

### 1. ძირითადი მონაცემები და პრინციპები

შიგა კონტროლის სისტემის (ICS) წინამდებარე სახელმძღვანელო ველურ მცენარეთა შეგროვების ოპერატორთათვის არის განკუთვნილი, რომლებიც ცდილობენ არსებული პრობლემის შესწავლას Fairwild–ის სტანდარტული 2.0 ვერსიისა და ორგანული სტანდარტების შესაბამისად. შიგა კონტროლის სისტემები სათავეს იღებენ ფერმულ და მიწის დამუშავების კონტექსტში, სადაც ისინი მწარმოებლის დონეზე ხარისხის გარანტიის ძირითად ელემენტს შეადგენენ და აღიარებულნი არიან ისეთი ეროვნული სტანდარტებით, როგორებიცაა EC 834/ 2007 და NOP/ USDA, რაც წვრილი ფერმერების სტრატეგიას წარმოადგენენ ორგანული ბაზრის ერთიანი მისაწვდომობისათვის (ე.ი. ერთი სერთიფიკატით).

ეს სახელმძღვანელო გამოზნულია ველურ მცენარეთა შეგროვებითი საქმიანობით დაკავებული დიდი რაოდენობით ოპერატორთა უზრუნველსაყოფად. შეგროვების მთლიანი ოპერაციის კონტროლი ძალიან რთულდება, როცა შემგროვებელთა რიცხვი დიდია და ისინი შეგროვების ტერიტორიის მოშორებით არიან განლაგებულნი. ერთი მხრივ შიგა კონტროლის სისტემა მუშაობს, რათა გააუმჯობესოს მენეჯმენტი და შეინარჩუნოს შეგროვების კომპლექსური ოპერაციის უნარი, მეორეს მხრივ, შიგა კონტროლის სისტემა შეამცირებს გარე სერთიფიცირებისათვის საჭირო დროს და შესაბამისად, სერთიფიცირების საერთო ხარჯებს. მიუხედავად ამისა, Fairwild–ის სტანდარტი არ საჭიროებს შიგა კონტროლის სისტემის შემოღებას და ამგვარად, იგი ველურ მცენარეთა შემგროვებელ ოპერატორთა ნებაყოფლობით არჩევანს წარმოადგენს.

## 2. რა არის შიგა კონტროლის სისტემა (ICS)?

ორგანული აგრარული მოძრაობების საერთაშორისო ფედერაცია (IFOAM) შიგა კონტროლის სისტემას (ICS) შემდეგნაირად განმარტავს: *”შიგა კონტროლის სისტემა წარმოადგენს დასაბუთებული ხარისხის საგარანტიო სისტემას, რომელიც სერტიფიცირებულ კომპანიაში გარე სერტიფიცირების ორგანოს აძლევს უფლებას გადაანდოს ინდივიდუალური ჯგუფის წევრთა წლიური შემოწმების უფლება იდენტიფიცირებულ ორგანოს / ერთეულს.“*

პრაქტიკულად ეს ნიშნავს იმას, რომ ველურ მცენარეთა შეგროვების ოპერაცია ძირითადად ყველა შემგროვებელს აკონტროლებს Fairwild-ის შეგროვების წესებისა და განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად. შემდეგ სერტიფიცირების ორგანო შიგა კონტროლის სისტემის სათანადო და ეფექტურ მუშაობას აფასებს. შეფასება ხორციელდება შიგა კონტროლის სისტემის დოკუმენტაციის შემოწმებით, პერსონალის კვალიფიკაციისა და შემგროვებელთა გარკვეული ნაწილის ხელახალი შემოწმებით.

## 3. შიგა კონტროლის სისტემის (ICS) სტრუქტურა

შიგა კონტროლის სისტემა სხვადასხვა ელემენტებისა და პროცედურებისაგან შედგება, ასევე იმ პერსონალისაგან, რომელიც მწარმოებლის დონეზე ხარისხის უზრუნველსაყოფად გარკვეულ როლს ასრულებს.

შიგა კონტროლის სისტემის სერტიფიკატის მიღებამდე საჭიროა გარკვეული ეტაპების გავლა, სანამ შემგროვებელს შესაბამისად ჩათვლიან და დაამტკიცებენ.

### 3.1. შემგროვებელთა დამტკიცების ეტაპები

#### *რეგისტრაცია:*

ყველა შემგროვებელი, ვინც Fairwild-ის სერტიფიცირების პროცესშია ჩართული ფორმალურად უნდა იყოს რეგისტრირებულ, როგორც Fairwild-ის შემგროვებელი.

ახალწვეულ შემგროვებელთა მიღების პროცესი თავპირველად შეიძლება მოიცავდეს ტრენინგის გავლას, რომელიც რეგისტრაციას უსწრებს წინ, მაგრამ თანმიმდევრობის შესახებ მითითებები არ არსებობს. რეგისტრაციის პროცესის მსვლელობისას ფირმასა და შემგროვებელს შორის ინდივიდუალური ხელშეკრულება ფორმდება.

რეგისტრაციის პერიოდში გროვდება ძირითადი ინფორმაცია შეგროვების პრაქტიკისა (მაგ. მოსავლის აღების მეთოდები, შეგროვებითი საქმიანობის ადგილმდებარეობა) და სტაბილურობის ასპექტების ცოდნის შესახებ, ძირითადი მონაცემები დოკუმენტაციით უნდა იყოს დადასტურებული (მაგ. შიგა შემოწმების ფორმა და/ან შემგროვებელთა სია).

ასევე შესაძლებელია ერთი შემგროვებლის რეგისტრაციაში ოჯახის წევრების ჩართვა, თუმცა რაოდენობა და ასაკი დოკუმენტაციით უნდა იყოს დადასტურებული.

### **შიგა შემოწმებები:**

თითოეული რეგისტრირებული შემგროვებელი შიგა კონტროლის კვალიფიციური ინსპექტორის მიერ წელიწადში სულ მცირე, ერთჯერ მოწმდება.

- შიგა შემოწმება უნდა ჩატარდეს შეგროვების სეზონზე მოსავლის აღებისას/ შემდეგ და აუცილებლად – შესყიდვამდე. მრავალფეროვან მცენარეთა შეგროვება და მასთან დაკავშირებული გახანგრძლივებული მოსავლის აღების პერიოდის შემთხვევაში, რეკომენდირებულია ერთზე მეტი შემოწმება. შემოწმებას შეიძლება თან ახლდეს რესურსების შეფასება თუ ამ დავალებას ასევე შიგა ინსპექტორი შეასრულებს.
- შემოწმება უნდა ჩატარდეს რეგისტრირებულ შემგროვებელთან გასაუბრებით (ან მის წარმომადგენელთან) და მოიცავდეს შეგროვების ყველა ტერიტორიისა და (უმჯობესია ყველა ნაკვეთის) და სასაწყობე (გადამამუშავებელი) საშუალებების ვიზიტს.
- ვიზიტი დოკუმენტირებულია შიგა შემოწმების სიაში, რომელსაც ხელს აწერს შიგა ინსპექტორი და ადასტურებს (ხელმოწერით) შემგროვებელი (ან მისი წარმომადგენელი). შემოწმების ბოლოს იმართება დისკუსია, სადაც დარღვევები და კორექციული ზომებია განმარტებული. შემგროვებელი ხელმოწერით ადასტურებს, რომ სიაში მოცემული ინფორმაცია სწორია და ეთანხმება შედეგებს და გაუმჯობესებისათვის შემოთავაზებულ კორექციულ ინსტრუქციებს. ზოგჯერ საველე ოფიცრებმა საკონსულტაციო ვიზიტისას შეიძლება გამოავლინონ შეუსაბამობა. ცხადია, ამ შემთხვევაში იგივე პროცედურების ჩატარება იქნება აუცილებელი (გამოძიება-დოკუმენტი-მოხსენება- მოქმედება).
- სერიოზული შეუსაბამობის შემთხვევაში, პრობლემების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა მოახსენონ შიგა კონტროლის სისტემის მენეჯერს და ყველა ზომა უნდა იქნეს მიღებული შიგა სანქციების პროცედურების მიხედვით.

შიგა შემოწმების მნიშვნელოვანი ნაწილია მოსავლის აღებული რაოდენობის პროექტირება და მასთან დაკავშირებული მდგრადობის შემოწმება:

- მნიშვნელოვანია შემგროვებლისაგან იმის გარკვევა, თუ რა რაოდენობის მოსავლის აღებას აპირებს ის თითოეული მცენარისაგან კონკრეტულ ტერიტორიაზე. პოტენციური მოსავლის შესახებ ინფორმაციის მიღებას ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს (ე.ი. საერთო მოსავლიანობის ბიომასის ან მცენარეთა ნაწილების). ეს ინფორმაცია შესაძლებელია თან დაერთოს რესურსების შეფასებას.
- გარდა ამისა, შიგა შემოწმება ასევე გულისხმობს საგულდაგულო დაკვირვებას სრულდება თუ არა მითითებები შიგა შეგროვების წესების მიხედვით. ეს მოიცავს მოსავლის აღების გამოყენებულ მეთოდებს, საკოლექციო ტერიტორიაზე შეგროვების სიხშირეს და ბუნებრივ საარსებო გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შემცირებას.
- შიგა ინსპექტორი ადასტურებს გასულ წელს გაყიდული მოსავლის რაოდენობას და აღრიცხავს არსებულ მოსავალს.

- მოსავლის შეფასებას დიდი მნიშვნელობა აქვს გაყიდვისას, რადგანაც მიწოდებული რაოდენობა მუდმივად მოწმდება შეფასებით. შესყიდვების ოფიცერმა უნდა აწარმოოს შემგროვებელთა სია, რომელიც გვიჩვენებს თითოეული შემგროვებლის მოსავლის შეფასებასა და გადაცემულ რაოდენობას. თუ ხელმისაწვდომია მოსავლის საიმედო შეფასებები, შესყიდვების ოფიცერს აქვს საშუალება გამოავლინოს შიგა შეგროვების წესების დარღვევები, მაგალითად, შემგროვებელს შეიძლება ერთმანეთში აერიოს მის მიერ შეგროვებული რაოდენობა გაყიდულ მცენარეებში ან შეგროვილ რაოდენობაში, რომლებსაც უკვე დაკარგული აქვთ გამძლეობა. რადგანაც შეფასებულზე მეტი რაოდენობის გადაცემამ შეიძლება დისკუსიამდე მიგვიყვანოს, თუ საექვო არაფერია, მოსავლის კარგი შეფასება შიგა შემოწმების ძირითად ელემენტს წარმოადგენს.

**დამტკიცება:**

კომპანიას სჭირდება იმ პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრა, რომელთა შესაბამისად შემგროვებლებს დაამტკიცებენ ან სანქციებს დაუწესებენ. შიგა შემოწმების შემდეგ იღებენ შემდეგ ზომებს:

1) შიდა შემოწმების სიებს მარეგულირებელი პერსონალი ამოწმებს, რომელიც ყურადღებას კრიტიკულ / რთულ შემთხვევებზე აკეთებს. შიგა შემოწმების შეფასება მოწმდება და თუ საჭიროა, პირობებიც დგინდება.


2) შიგა შემოწმების შედეგებისა და მარეგულირებელი პერსონალის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, შემგროვებელთა სია შესწორდება შესაფერისი შემგროვებლების გამოსავლენად.

დამტკიცების პერიოდში მიღებული შედეგები უნდა დასაბუთდეს ოქმში, ეს სავალდებულოა თუ შემგროვებლები სერიოზულად არღვევენ შიგა შეგროვების წესებს. ასეთ შემთხვევებში უნდა განისაზღვროს სანქციების მექანიზმი, რომელიც დამოკიდებული იქნება შეუსაბამობის ხარისხზე, მაგალითად არავითარი შესყიდვები ერთი წლის განმავლობაში შეუსაბამო შემგროვებლისაგან და მისთვის ტრენინგის ჩატარება. შესყიდვების ოფიცრები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ და შემგროვებლის სახელი ამოიღონ გაყიდვების სიიდან.

თუ შემგროვებელი ვერ შეასრულებს Fairwild-ის შეგროვების წესებს და ამ ფაქტს ვერ დააფიქსირებს შიგა შემოწმება, ის თავის ყველა თანამშრომელს პროექტის დესერტიფიცირების ან სულ მცირე პროდუქციის დიდი დანაკარგის საფთხეს უქმნის. თუ სერიოზული შეუსაბამობა იქნა აღმოჩენილი დამუშავების პერიოდში ან მის შემდეგ, მთელი Fairwild-ის წარმოების წილი, რომელიც შეიცავს დამნაშავე შემგროვებლის პროდუქციას, შეიძლება იყოს დესერტიფიცირებული. საფრთხე ასევე შეიძლება შეექმნას შიგა კონტროლის სისტემის მთელ ჯგუფს, რომელმაც პრობლემა ვერ გამოავლინა.

### **3.2. შიგა კონტროლის სისტემის (ICS) დოკუმენტაცია**

შიდა კონტროლის სისტემაში უნდა იყოს დაცული შემდეგი დოკუმენტები:



#### **1. შიგა კონტროლის სისტემის (ICS) სახელმძღვანელო**

თითოეული კომპანია, რომელიც შიდა კონტროლის სისტემის მოთხოვნებს იცავს, ადგენს კომპანიის ინდივიდუალურ სახელმძღვანელოს, რომელიც აღწერს შიგა კონტროლის სისტემის ყველა პროცედურას და შეიცავს შიგა ნორმებს, სწორედ აქედან გამომდინარეობს სახელი შიგა კონტროლის სისტემის სახელმძღვანელო. თუ მენეჯმენტის გეგმა (როგორც Fairwild სერთიფიცირების ოპერაციებისათვის არის საჭირო) უკვე დადგენილია, შიგა კონტროლის სისტემის პროცედურები უნდა გაერთიანდეს (ან მსგავსად შიგა კონტროლის სისტემის საწყისი სახელმძღვანელო შეიძლება მენეჯმენტის გეგმად გადასწორდეს).

შემდეგი ასპექტები უნდა შედიოდეს შიგა კონტროლის სისტემის სახელმძღვანელოში:

კომპანიის სტრუქტურისა და საქმიანობის მოკლე დახასიათება

ა) უნდა იყოს მოცემული შეგროვების ტერიტორიის მონაზახი და შეგროვების საქმიანობა მათ შორის ზომა, სამიზნე სახეობები ტერიტორიის მიხედვით, ჰავა, ბუნებრივი გარემო, მთავარი ეკონომიკური საქმიანობა, გამოყენებული მიწა. ასევე საჭიროა შეგროვების პრაქტიკის დახასიათება: ვინ აგროვებს მცენარეებს, როგორ გროვდება პროდუქცია, შეგროვების სეზონი, როგორია მისი ტრადიციული გამოყენება, რა სტატუსი აქვს მცენარეს, რა საფრთხე ემუქრება მცენარეს და შესაბამისი დამატებითი ასპექტები.

ბ) უნდა იყოს მოცემული შესყიდვის, დამუშავებისა და ექსპორტირების მონახაზი, მაგალითად ყველა მიღებული ზომის დახასიათება დაწყებული მოსავლის აღებით და პროდუქციის სხვა ერთეულისათვის მიყიდვით დამთავრებული, მათ შორის თითოეულ ეტაპზე პასუხისმგებელი პირის მითითებით.

გ) უნდა დახასიათდეს შიდა კონტროლის სისტემის ყველა შიგა პროცედურა და პასუხისმგებლობანი. ამ ასპექტის შემდგომი დეტალები მომდევნო ნაწილებშია მოცემული.

გ) რისკის დეტალური შეფასება გულდასმით უნდა დამუშავდეს (იხ. თავი 4.).

ე) მიღებული შიგა შემოწმების სია და სხვა შესაბამისი დოკუმენტები დამატებას უნდა დაერთოს თან.

საბოლოო შიგა კონტროლის სისტემის სახელმძღვანელო შეიძლება წარმოადგენდეს საკმაოდ მარტივ დოკუმენტს. უფრო მნიშვნელოვანია, რომ პროცედურები და ფორმალობები სინამდვილეში შესრულდეს და გაითავისოს მთლიანმა პერსონალმა, ვიდრე ის რომ სახელმძღვანელო თავიდანვე შეიცავდეს დეტალებს ყველა მოულოდნელობის შესახებ.

შიგა კონტროლის სისტემის სახელმძღვანელოს ყველა მნიშვნელოვანი ნაწილი და შიგა კონტროლის სისტემის პროცედურების დახასიათება შესაბამისი ფორმით უნდა იყოს ხელმისაწვდომი პიროვნებებისათვის, რომლებიც შესაბამისი მოთხოვნებისა და პროცედურების შესრულებაზე აგებენ პასუხს.

შიგა კონტროლის სისტემის სრული შიგა სახელმძღვანელო უნდა დაუნაწილდეთ Fairwild-ის მარეგულირებელ კომიტეტს და/ან Fairwild-ის მარეგულირებელ მენეჯერს, ისევე როგორც შიგა ინსპექტორებს. შიგა კონტროლის სისტემის სრული შიგა სახელმძღვანელო თხოვნის შესაბამისად ასევე უნდა მიეწოდოთ შემგროვებლებს და დაკავშირებულ ორგანიზაციებს/ოპერატორებს, რომლებიც FairWild-ის პროექტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ. რეკომენდირებულია უმაღლესი ადმინისტრაციის შიგა კონტროლის სისტემის პროცედურებში ჩართვა, იმდენად რამდენადაც ეს შესაძლებელია, და ასევე მათ მიერ შიგა კონტროლის სისტემის სახელმძღვანელოს დამტკიცება.

შიგა კონტროლის სისტემის სახელმძღვანელო უნდა ასახოს შიგა კონტროლის სისტემის რეალობა და სერთიფიცირების სტანდარტის არსებული მოთხოვნები, ამიტომაც ის რეგულარულად უნდა გადაიხედოს და საჭიროებისამებრ განახლდეს. ცვლილებების შესახებ უნდა ეცნობოს დაინტერესებულ პერსონალს.



## *2.) შიგა შემოწმების სია*

როგორც შიგა შემოწმების წინაპირობა, თითოეულ შემგროვებელზე უნდა შედგეს ერთი სია (სიის ნიმუში სახელმძღვანელოს ბოლოს არის მოცემული). ის კონკრეტული კომპანიის სიტუაციას უნდა იყოს მორგებული და ასახავდეს შიგა კონტროლის სისტემის (ICS) განსაზღვრულ პროცედურებს, სია ასევე უნდა მოერგოს რეგისტრაციის განმავლობაში დოკუმენტის ძირითად მონაცემებს.

## *3.) ინდივიდუალური ხელშეკრულება*

თითოეულმა შემგროვებელმა ხელშეკრულების ხელმოწერით უნდა დაუდასტუროს შეგროვების ოპერატორს, ის რომ მზადაა დაემორჩილოს FairWild-ის შეგროვების წესებს და ეთანხმება ისეთ პირობებს, როგორცაა შიგა და გარე შემოწმების აუცილებლობა. მეორე მხრივ, ოპერატორი განსაზღვრავს თავის საკუთარ ვალდებულებებსა და უფლებებს, რომლებიც შემგროვებელს ენიჭება.

## *4.) შიგა შეგროვების წესები*

შიგა შეგროვების წესები ხარისხის მოთხოვნების ერთობლიობაა, რომელიც კომპანიამ უნდა შეადგინოს და შეასრულოს შემგროვებელმა. შიგა შეგროვების წესები ან მინიმუმ, წესების მოკლე მიმოხილვა შეიძლება ხელშეკრულებაში იყოს მოცემული.

## *5.) შემგროვებელთა სია*

ეს არის შიგა შემოწმების მოკლე მიმოხილვა, რომელშიც უნდა იყოს მოცემული შემგროვებლის სახელი (და კოდი), შეგროვების ტერიტორია/ტერიტორიები (სასრუველია ზომა მაგალითად ჰექტარებში), აქტიურ ოჯახის წევრთა რაოდენობა და დამუშავებული მოსავლის შეფასება თითოეული შემგროვებლისა და მცენარის მიხედვით. რა თქმა უნდა, ის შეიძლება შეიცავდეს უფრო მეტ ინფორმაციას, მაგალითად როგორცაა შიგა შემოწმების თარიღი და შიგა ინსპექტორის სახელი. სია შეიძლება შედგეს შემგროვებლის რეგისტრაციისას და შესწორდეს შიგა შემოწმების შემდეგ.

## *6.) შესყიდვების სია*

ამ დოკუმენტს გაყიდვების ოფიცერი შესყიდვების ცენტრში ინახავს. ის შეიცავს შემგროვებლის სახელს (და კოდს), შესასყიდი მცენარეების ჩამონათვალს, დამუშავებული მოსავლის შეფასებას და შემგროვებელთა მიერ გადაცემული საქონლის ჩამონათვალს. სურვილისამებრ, შემგროვებელთა სია შეიძლება გაყიდვების სიად

გადაკეთდეს მიწოდებული საქონლის სიის დამატებით.

გარდა ამისა, პატარა ბროშურა შეიძლება გადაეცეს თითოეულ შემგროვებელს, რაც ხელს შეუწყობს მათ შეინახონ ძირითადი მონაცემები შეგროვების თარიღების, შეგროვების ადგილმდებარეობის და მცენარეთა ცალკეულ სახეობებთან დაკავშირებული სირთულეების შესახებ (მაგალითად ნაკლებობა).

### **3.3 ორგანიზაცია და შიგა კონტროლის სისტემის (ICS) პერსონალი**

შიგა კონტროლის სისტემის თითოეულ პროცედურასა და ამოცანაზე ერთი პიროვნება აგებს პასუხს. პერსონალი უნდა იცნობდეს თავის პასუხისმგებლობებს და ჰქონდეს სამსახურის შესაბამისი კვალიფიკაცია. შიგა კონტროლის სისტემის ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს საკმარისი პერსონალის არსებობა შიგა კონტროლის სისტემის დოკუმენტში აღწერილი პროცედურების შესასრულებლად.

შემდეგ სიაში მოცემულია პერსონალის სხვადასხვა თანამდებობათა დახასიათება, მაგრამ ცხადია, რომ თითოეული თანამდებობის დასახელება და სხვადასხვა თანამდებობათა და პიროვნებებთა პასუხისმგებლობების ზუსტი განაწილება შეიძლება განსხვავდებოდეს ოპერატორიდან ოპერატორზე. მნიშვნელოვანია ოპერატორის ორგანიზაციის საორგანიზაციო სქემის წარმოება, რომელიც გვიჩვენებს საორგანიზაციო ერთეულებს, კომპანიის პერსონალის იერარქიებსა და თანამდებობებს.

### ***შიგა კონტროლის სისტემის (ICS) მენეჯერი/კოორდინატორი***

უნდა იყოს დანიშნული შიგა კონტროლის სისტემის კოორდინატორი, რომელიც პასუხს აგებს შიგა კონტროლის სისტემის კოორდინირებაზე, შიგა შემოწმების ორგანიზებაზე, საველე და მარეგულირებელი პერსონალის მოქმედების კოორდინირებაზე, შიგა შემოწმების კოორდინირებაზე, ასრულებს მარეგულირებელი ორგანოს საკონტაქტო პიროვნების როლს.

შიგა კონტროლის სისტემის მენეჯერი ან კოორდინატორი გადამწყვეტი თანამდებობაა შიგა კონტროლის სისტემაში. შიგა კონტროლის სისტემის კოორდინატორი შიგა კონტროლის სისტემის შესრულებას უზრუნველყოფს. ის ორგანიზებას უკეთებს გავრცელების სამსახურს და შიგა ინსპექტირებას (ვინ და როდის ატარებს შემოწმებას), უზრუნველყოფს პერსონალს ინსპექტირების ჩასატარებლად (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალებანი და ა.შ) საჭირო ყველა რესურსით, უნდა დარწმუნდეს რომ ყველა შემგროვებელი ნამდვილად არის შემოწმებული და ახალი შემგროვებლები სათანადოდ არიან რეგისტრირებულნი. ის უზრუნველყოფს პერსონალის ტრენინგის

ჩატარებას, კოორდინირებას უწევს FairWild-ის სერთიფიცირების ორგანოს, და ა.შ. მარეგულირებელი მენეჯერი იღებს გადაწყვეტილებებს დარღვევების სერიოზულობის შესახებ (სერთიფიცირების ოფიცრის მსგავსად), მაშინ როდესაც კოორდინატორი არის მენეჯერი/ორგანიზატორი (შიგა კონტროლის სისტემის გენერალური მენეჯერის მსგავსად). ბევრ შემთხვევაში ორივე სამუშაოს ერთი და იგივე პიროვნება ასრულებს, მაგრამ დიდ ოპერაციებში ამ ორ თანამდებობას სხვადასხვა პიროვნებები ხელმძღვანელობენ.

### *შიგა ინსპექტორები*

უნდა იყოს კვალიფიცირებული შიგა ინსპექტორების საკმარისი რაოდენობა საფუძვლიანი და ობიექტური შიგა შემოწმების ჩასატარებლად. ხელმისაწვდომი უნდა იყოს თითოეული ინსპექტორის მოკლე ბიოგრაფია (მათ შორის მისი მოვალეობები) და იმის განცხადება, რომ მას არა აქვს ინტერესთა კონფლიქტი მონაწილე შემგროვებლებთან ან ოპერაციის სხვა მხარეებთან.

შიგა ინსპექტორები სათანადოდ უნდა იყვნენ კვალიფიცირებულნი. მნიშვნელოვანია რომ შიგა კონტროლის სისტემის ოპერატორმა უზრუნველყოს თითოეული ინსპექტორის მიერ შემოწმების ეფექტურად ჩატარება, სიის შევსება და შეუსაბამობის შემთხვევების გაკონტროლება. ეს მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ შიგა კონტროლის სისტემის მთლიანი შეფასება შიგა შემოწმების ეფექტურობაზე გაამახვილებს ყურადღებას. რეკომენდირებულია, რომ შიგა ინსპექტორები რეგულარულად (მაგალითად, სულ მცირე წელიწადში ერთჯერ) თან ახლდნენ სხვა გამოცდილ ინსპექტორებს ცოდნის გასაზიარებლად.

ჩვეულებრივ შემდეგი მოთხოვნები უნდა იყოს დაკმაყოფილებული, იმისათვის რომ შიგა ინსპექტორი „სათანადოდ კვალიფიცირებულად“ ჩაითვალოს:

- ინსპექტორს უნდა შეეძლოს კითხვა და წერა
- ინსპექტორი თავისუფლად უნდა ფლობდეს ადგილობრივ ენასა და შემგროვებელთა ინდივიდუალურ თავისებურებებს
- ინსპექტორი უნდა იცნობდეს ტერიტორიის სახეობების/ბუნებრივი გარემოს ეკოლოგიას და შემგროვებელთა პრაქტიკას/რეალიებს.
- ინსპექტორმა გავლილი უნდა ჰქონდეს ტრენინგი და იცნობდეს FairWild-ის შეგროვების პრინციპებს, ასევე შიგა კონტროლის პროცედურებს და შიგა

რეგულირებას.

- ინსპექტორს არ უნდა ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტი, რამაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს მის სამუშაოზე

შიგა ინსპექტორის ამოცანები მოიცავს შემდეგს:

- შემგროვებელთა რეგისტრაცია შემგროვებელთა სიაში ან მსგავს დოკუმენტში
- თითოეული შემგროვებლის შემოწმება სულ მცირე ერთჯერ წელიწადში. ეს ვიზიტები უნდა დასაბუთდეს შიგა შემოწმების ფორმაში
- მოსავლის აღების სეზონზე გაყიდვების სადგურების რეგულარული შემოწმება, იმისათვის რომ უზრუნველყოფილ იქნეს შიგა კონტროლის სისტემაში ნახსენები პროცედურების შესრულება

### ***FairWild-ის მარეგულირებელი პერსონალი***

უნდა იყოს დანიშნული კვალიფიცირებული პიროვნება ("FairWild მარეგულირებელი მენეჯერი") ან სერთიფიცირებული კომიტეტი, რომელიც შიგა რეგულირების გადაწყვეტილებებს მიიღებს. მარეგულირებელი პერსონალი უნდა იყოს კვალიფიცირებული და შეეძლოს ობიექტური გადაწყვეტილებების მიღება. ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოკლე ბიოგრაფია, ინტერესების კონფლიქტის ხელმოწერილი განცხადება, წერილობითი ხელშეკრულება და მთელი მარეგულირებელი პერსონალის პასუხისმგებლობების ჩამონათვალი.

დამტკიცების პროცედურა შეიძლება განახორციელოს შიგა კონტროლის სისტემის კოორდინატორმა ან FairWild-ის მარეგულირებელმა კომიტეტმა. რეკომენდირებულია მარეგულირებელი კომიტეტის განსაზღვრა, მაგრამ ეს არ წარმოადგენს საჭიროებას.

შიგა მარეგულირებელი პერსონალის მოვალეობებს წარმოადგენს იმ ამოცანების შესრულება, რომლებიც აღწერილია სარეგულაციო გადაწყვეტილებების შესახებ მოცემულ თავში. მარეგულირებელი კომიტეტის შემთხვევაში ჩვეულებრივ მარეგულირებელი მენეჯერი ამზადებს გადაწყვეტილებებს (რომელიც ამოწმებს მოხსენებებს და კომიტეტს ყველაზე მნიშვნელოვან შემთხვევებს წარუდგენს) და კომიტეტი, რომელიც ჩვეულებრივ ამტკიცებს შემგროვებლებს, რომლებიც შეყვანილია შემგროვებელთა სიაში, როგორც "დამტკიცებული". თუ პერსონალი შედგება მხოლოდ FairWild-ის მარეგულირებელი მენეჯერისაგან, ის დამტკიცების პროცედურების ყველა ეტაპზე აგებს პასუხს.

მარეგულირებელმა მენეჯერმა სულ მცირე, შემდეგი მოთხოვნები უნდა შეასრულოს:

- ის უნდა იცნობდეს FairWild–ის შეგროვების პრინციპებს
- ის უნდა იცნობდეს შიგა რეგულირებას
- მას პატივს უნდა სცემდნენ შემგროვებელთა შორის და ორგანიზაციაში
- მას არ უნდა ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტი

გულდასმით უნდა იყოს შერჩეული მარეგულირებელი კომიტეტი, იმისათვის რომ დაცული იყოს სხვადასხვა ინტერესთა და გავლენათა ბალანსი, მაგრამ აგრეთვე უნდა შემცირდეს ინტერესთა პოტენციური კონფლიქტი.

### *საველე კონსულტანტები*

FairWild–ის შემგროვებელთა ტრენინგს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია საველე კონსულტანტის/ოფიცრის თანამდებობა. ეს ამოცანა შეიძლება შეასრულოს მაგალითად მთავარმა შემგროვებელმა, რომელიც კარგად იცნობს FairWild–ის პრინციპებს. საველე ოფიცერი ხშირად შემგროვებლების ნაცვლად აწარმოებს საველე მარტივ დოკუმენტაციას. ცხადია საველე ოფიცრებმა აღმოჩენის შემთხვევაში ძირითადი დარღვევების შესახებ უნდა გააკეთონ მოხსენება. საველე ოფიცრებს უნდა ჰქონდეთ წერილობითი ხელშეკრულება და მკაფიოდ განსაზღვრული პასუხისმგებლობები.

### *ინტერესთა კონფლიქტი*

ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება განისაზღვროს, როგორც ნებისმიერი სიტუაცია, რომელშიც ინდივიდი ან ოპერაცია ბუნებრივი თუ ადამიანური რესურსების გამოყენების მდგომარეობაშია, როგორცაა შეგროვებული მცენარეები და შეგროვების ტერიტორია ან შემგროვებლები, მუშები და პერსონალის სხვა წევრები, რომლებიც გარკვეულწილად საკუთარი თავის სასარგებლოდ მოქმედებენ და უგულვებელყოფენ დაკისრებულ ამოცანებს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ:

- შიგა კონტროლის სისტემის პერსონალს არ უნდა ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტი, რამაც შეიძლება მუშაობას შეუშალოს ხელი. შიგა ინსპექტორს არა აქვს მისი უშუალო მეზობლების, მეგობრებისა თუ ოჯახის მიერ შეგროვებული მოსავლის შემოწმების უფლება.
- ინტერესთა ყველა შესაძლო კონფლიქტს წერილობითი განცხადების ფორმა უნდა მიეცეს. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ალტერნატიული გადაწყვეტილებების ძიება ინტერესთა კონფლიქტების წარმოშობის შემთხვევაში.

#### **4. რისკის შეფასება**

რისკები, რომლებმაც შეძლება საფრთხე შეუქმნან FairWild-ის პროდუქციის ხარისხს შეგროვების, შესყიდვის, დამუშავებისა და შენახვის სხვადასხვა ეტაპზე, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული შიგა კონტროლის ყველა პროცედურაში.

- საწყისი რისკის დეტალური შეფასება მოკლე პერიოდში უნდა დასრულდეს. რისკის შეფასებამ უნდა განსაზღვროს რისკები შეგროვების, შესყიდვის და შენახვის (დამუშავების) სხვადასხვა ეტაპზე, რადგანაც პროდუქტი შიგა კონტროლის სისტემის ოპერატორის პასუხისმგებლობის ქვეშაა.
- რისკის შეფასება რეგულარული ხასიათის უნდა იყოს, იდეალურია ერთჯერ წელიწადში, მაშინ როცა მნიშვნელოვანი ცვლილებებია ასორტიმენტის ჩამონათვალში, შეგროვების ტერიტორიებზე, მენეჯმენტში და ა.შ.
- შიგა კონტროლის სისტემამ მუდმივად უნდა მიიღოს ყველა ზომა განსაზღვრული რისკების მინიმუმადე შესამცირებლად.

რისკის საწყისი შეფასება პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯია იმ კრიტიკული ასპექტების გასაცნობიერებლად, რომლებიც შიგა კონტროლის სისტემამ (ICS) უნდა გადაწყვიტოს. რეკომენდირებულია გამოყენებული რისკის ანალიზის რეგულარული გამეორება, იმისათვის რომ გახდეს ცნობილი, თუ მანამდე განსაზღვრულ რისკთაგან, რომელი ემუქრება FairWild-ის ხარისხს და რომელია ამჟამად არსებული რისკები, რადგანაც ისინი შეიძლება შეიცვალოს. მაგალითად: მაშინ როცა საწყისი რისკის შეფასებაში მთავარ ყურადღებას გამახვილებენ შეგროვებაზე და პოტენციურ რისკზე, რომ შემგროვებლები ყიდიან ტრადიციულად შეგროვილ მცენარეებს (მაგალითად არარეგისტრირებული შემგოვრბლისგან შექენილს), მომდევნო წლებში რისკი შეიძლება უფრო მეტი იყოს შიგა კონტროლის სისტემის მხარეს. შეიძლება არ იყოს საკმარისი პერსონალი 100 %-იანი შიგა შემოწმების ჩასატარებლად, ან შეიძლება იყოს პერსონალის სწრაფი ბრუნვა, იმგვარად რომ ახალი ინსპექტორები შეიძლება სრულიად გამოუცდელნი აღმოჩნდნენ.

შიგა კონტროლის სისტემის ოპერატორი უნდა აცნობიერებდეს არსებული კონტროლის ყველა მთავარ საკითხს, იმისათვის რომ მთლიანი რისკის მენეჯმენტში შესაბამისი პრევენციული ზომები მიიღოს.

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს მაგალითს თუ როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს რისკის შეფასების მატრიცა:

რისკის კრიტერიუმები	აღმოჩენილი სიტუაცია	რისკის შეფასება		
		მაღ.	საშ.	დაბ.
არსებობს თუ არა მაღალი მოთხოვნა სამიზნე სახეობებზე რამაც შეიძლება ზეექსპლუატაცია გამოიწვიოს?				
სჭირდება თუ არა შემგროვებელს დიდი მანძილის გავლა/აქვს რთული საშუალებანი სამიზნე სახეობამდე მისასვლელად?				
იღებენ თუ არა შემგროვებლები საარსებო წყაროს დიდ პროცენტს მცენარეთა შეგროვებისაგან?				
იღებენ თუ არა შემგროვებლები საარსებო წყაროს დიდ პროცენტს სამიზნე სახეობებისაგან?				
მდებარეობს თუ არა შეგროვების ტერიტორია გაბინძურების წყაროსთან ახლოს, როგორცაა დასახლებები, გზები, ქარხნები და ა.შ.?				
იყენებენ თუ არა შემგროვებლები საშინაო ინსექტიციდებს მათ სახლებში (ბუზების/კოლოების საწინააღმდეგო საშუალება)?				
შემდგომი დასამატებელი პუნქტები				

(H) მ= მაღალი რისკი

(M) ს= საშუალო რისკი

(L) გ= დაბალი რისკი

## **5. ტრენინგი**

ტრენინგის მთავარი ამოცანაა FairWild-ის შესაბამის ასპექტებში შემგროვებლებისა და პროექტის პერსონალის ინფორმირება და მომზადება, განსაკუთრებით მათთვის სახეობებისა და შეგროვების ტერიტორიის შესახებ შიგა რეგულირების პრაქტიკული მნიშვნელობის გაცნობა.

### ***შიგა კონტროლის სისტემის პერსონალის ტრენინგი***

თითოეულ შიგა ინსპექტორს შიგა კონტროლის სისტემის კომპეტენტურმა წევრმა ყოველწლიურად სულ მცირე ერთი ტრენინგი მაინც უნდა ჩაუტაროს. მონაწილეობის თარიღი და ტრენინგის შინაარსი პერსონალის ფაილებში უნდა იყოს დასაბუთებული. როგორც ზემოთ იყო ნახსენები გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს FairWild-ის პერსონალის მიერ პროცედურების გაცნობიერებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შიგა ინსპექტორების კვალიფიკაცია და ოფიციალურ ტრენინგთან ერთად რეკომენდირებულია, რომ თითოეულ ინსპექტორს ყოველწლიურად თან ახლდეს სხვა ინსპექტორის მიერ ჩატარებულ ორ შემოწმებას. დამტკიცებისა თუ შესყიდვების პერსონალს ასევე შეიძლება დაჭირდეს ტრენინგი, იმისათვის რომ ისინი კარგად აცნობიერებდნენ ყველა მოთხოვნას და შეეძლოთ მათი შესრულება. ყველა ასეთი ტრენინგი უნდა დასაბუთდეს და შეიძლება საჭირო გახდეს შიგა შემოწმებისას.

### ***შემგროვებელთა ტრენინგი***

FairWild-ის ერთ ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს შემგროვებლის ცოდნისა და გაგების გაუმჯობესება, თუ როგორ უნდა შეასრულოს აქტიური როლი სამიზნე მცენარეებისა და შეგროვების ტერიტორიის დასაცავად მომავალი შეგროვებისათვის მყარი შეგროვების პრაქტიკის საშუალებით. თითოეულმა შემგროვებელმა უნდა მიიღოს სულ მცირე ერთი საწყისი საკონსულტაციო ვიზიტი გაფართოებული სერვისით თუ ორგანიზებული ტრენინგით. ტრენინგის რეალიზება საჭიროა, მაშინ როცა მცენარეები შეგროვდება და მცენარეები, რომლებსაც ვერ დავაჯგუფებთ როგორც „დაბალ რისკს“, მაგალითად ყველაზე სამკურნალო მცენარეები.



მონაწილეობა და ტრენინგის შინაარსი დოკუმენტაციით უნდა დასაბუთდეს.


## 6. გარე სერთიფიცირება

როგორც კი შიგა პროცედურები, ე.ი. შიგა ინსპექტირებისა და დამტკიცების პროცესი დასრულდება, შიგა მაკონტროლებელი შეამოწმებს შიგა კონტროლის სისტემასთან შესაბამისებას და მიიღებს ზომებს შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

შიგა შემოწმების პერიოდში შემოწმდება შემდეგი ასპექტები:

- 1.) შიგა კონტროლის სისტემის პროცედურების განვითარება და შესრულება მათ შორის შიგა კონტროლის სისტემის პერსონალის კვალიფიკაციისა
- 2.) დასრულებული შიგა შემოწმებისა და შემოწმების სიის გაკონტროლება
- 3.) შემგროვებელთა გარკვეულ რიცხვთან გასაუბრება. რაოდენობა წარმოქმნილი რისკის მდგომარეობით განისაზღვრება.
- 4.) დამატებით და შიგა კონტროლის სისტემისაგან დამოუკიდებლად, უნდა შემოწმდეს მოსავლის აღებამდე არსებული და შემდგომი საქმიანობა.

შიგა კონტროლის სისტემის როლი შიგა სერთიფიცირების პროცესში



Certifier - მაკონტროლებელი

შიგა კონტროლის სისტემა (ICS)

## **7. შიდა კონტროლის სისტემის განვითარების ძირითადი საფეხურების მიმოხილვა**

ამ თავში მოცემულა რჩევა თუ როგორ უნდა უნდა დაიწყოს შიგა კონტროლის სისტემის დაფუძნება, რა ზომები უნდა იქნეს მიღებული თავდაპირველად და რომელი ასპექტებია ყველაზე მნიშვნელოვანი.

შიგა კონტროლის სისტემის ფუნქციონირებისათვის საჭირო ფონდის დაფუძნება იწყება შიგა ხარისხის პროცედურების ჩამოყალიბებით, შიდა კონტროლის სისტემის შესაბამისი ფორმებისა და შიგა კონტროლის სისტემის სახელმძღვანელოს გამოყენებით. თუ მენეჯმენტის გეგმა უკვე დადგენილია, შიგა კონტროლის სისტემის) პროცედურები უნდა გაერთიანდეს (ან მსგავსად შიგა კონტროლის სისტემის საწყისი სახელმძღვანელო შეიძლება მენეჯმენტის გეგმად გადასწორდეს).

თეორიული ჩარჩოსა და დოკუმენტების ჩამოყალიბების შემდეგ, უზრუნველყავით კვალიფიციური პერსონალის და ჩაატარეთ საჭირო ტრენინგების Fairwild-ის პრინციპებისა და შიგა კონტროლის სისტემის თანახმად. პარალელურად, განსაზღვრეთ შემგროვებლები და მათი შემდგომი უზრუნველყავით ისინი მყარი შეგროვებისა და Fairwild ასპექტების შესახებ ტრენინგით.

შიდა ინსპექტირებისა და სერთიფიცირების პირველი წელი მხოლოდ შიგა კონტროლის სისტემის დაფუძნების შემდეგ უნდა დაიგეგმოს, რადგანაც სხვაგვარად ოპერაცია არ იქნება მომგებიანი, თუკი შიგა ინსპექტორი დაასკვნის, რომ ოპერაცია ჯერ არ შეიძლება იყოს სერთიფიცირებული. პირველი შემოწმებისას ან მანამდე, სართიფიკატის გამცემი ორგანო შეამოწმებს და შეაფასებს შიგა კონტროლის სისტემის (ICS)დოკუმენტს/დოკუმენტებს და შესაძლებელია შესთავაზოს შენიშვნები ან პირობები გაუმჯობესებისათვის.

როგორც კი შიგა კონტროლის სისტემა დაფუძნდება და დამტკიცდება, თანდათან გადახედეთ შესაბამის დოკუმენტებს როგორცაა პროცედურები, ბლანკები, სამუშაო ინსტრუქციები და პროცედურები. ასვე გააგრძელეთ მუშაობა მათ განხორციელებაზე შიგა კონტროლის სისტემის პერსონალის მიერ ტრენინგების, სემინარებისა და განმარტებების ჩატარების საშუალებით.

ოპერაცია არჭურვილი იქნება პერსონალსა და შემგროვებლებზე გათვლილი, სათანადოდ მომუშავე მენეჯმენტისა და კონტროლის სისტემით, გაუმჯობესებული უსაფრთხოებით მოულოდნელი მოვლენებისაგან დასაცავად, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას სერთიფიცირებას, რესურსების უსაფრთხოებასა და მთლიან ბიზნესს.

## **8. რეკომენდაციები**

FairWild–ის სტანდარტული ვერსია 2.0. FairWild–ის ფონდი, შვეიცარია 2010.

კორექტირებული IFOAM სახელმძღვანელო შიგა კონტროლის სისტემის რეგულირებისა და ჰარმონირებისათვის (შიგა კონტროლის სისტემა (ICS). ლექლაიტნერ, ფ. და აიზენლორ, უ., IFOAM, ბონი 2004

ველურ მცენარეთა ორგანული შეგროვების სახელმძღვანელო. IMO/SIPPO/OSEC, შვეიცარია 2005, განახლებულია 2009.

**9. დანართი**

**FairWild–ის შიგა ინსპექტირების ფორმა**

შემგროვებლის სახელი	შემგროვებლის კოდი
შიგა ინსპექტორი	შემოწმების თარიღი
დასწრება შემოწმების პერიოდში	

**შეგროვების ტერიტორიების დეტალები**

შემგროვებელი მხოლოდ რეგისტრირებული შეგროვების ტერიტორიაზეა აქტიური	<input type="checkbox"/> დიახ	<input type="checkbox"/> არა
--	-------------------------------	------------------------------

შეგროვების ტერიტორია	ჰექტარი	სამიზნე მცენარეები	დაკვირვებები (მაგალითად სხვა შემგროვებლები, სახეობების/ ბუნებრივი გარემოს საფრთხეები)
ა			
ბ			
გ			
დ			

**მოსავლის შეფასება შეგროვების თითოეულ ტერიტორიაზე**

მცენარის სახელი	რამდენ მოსავალს აიღებენ?				რამდენია პოტენციური მოსავალი (ე.ი. მთლიანი ბიომასა, ხილის მთლიანი წარმოება და ა.შ.)?			
	Area A	Area B	Area C	Area D	Area A	Area B	Area C	Area D


შენიშვნა: საჭიროა ოჯახის წევრთა მიერ შეგროვებული რაოდენობის ჩართვა (თუ შესაძლებელია)

**შეგროვების პრაქტიკა**

ტრეინინგი ჩატარებულია	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/> შენიშვნები:
შემგროვებლის ცოდნა სახეობების შესახებ (იდენტიფიცირება) შესაბამისია	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/> შენიშვნები:
მოსავლის აღების მეთოდები მდგრად შეგროვებას უზრუნველყოფს	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/> შენიშვნები:
ზემოქმედებს თუ არა შეგროვების საქმიანობა ბუნებრივ გარემოზე ან სხვა სახეობებზე?	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/> შენიშვნები:
შემგროვებელს ესმის მდგრადი შეგროვების პრინციპები	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/> შენიშვნები::
შიგა შეგროვების წესები ცნობილია/ სრულდება?	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/> შენიშვნები:
შემგროვებლის მიერ მცენარეთა გარკვეული სახეობების შესახებ პრობლემების აღმოჩენა	

**მოსავლის აღების შემდგომი ზომები და დამუშავება**

საქმიანობა	კარგი	პირობე ბის შესაბამისი	შეუსაბამო	დადასტურება/პირობა
დამუშავება (გაშრობა, შეფუთვა) ხარისხების გადანაწილება				
შენახვა არავითარი გაბინძურება,				

განცალკევება				
კომენტარები				

შენახული მცენარეები მხოლოდ საკუთარი კოლექციიდან არის?	<input type="checkbox"/> დიახ	<input type="checkbox"/> არა	შენიშვნები:
---	-------------------------------	------------------------------	-------------

### რისკის მენეჯმენტის გაუარესება

რისკის გაუარესება	დაბალი	საშუალო	მაღალი	კომენტარები
შეგროვება საფერმო მეურნეობაზე/ახლოს				
შეგროვება დასახლებებთან ახლოს				
ინდუსტრია, შარაგზა, ჩამდინარე წყლები და ა.შ.				
რისკის შესამცირებლად მიღებული ზომები:				

### ჩვეულებრივი უფლებები

თემა	დიახ	არა	უცნობია	კომენტარები
შემგროვებელი ადგილობრივ ჯგუფს განეკუთვნება?				
არსებობს ტრადიციული მოსავალი და ჩვეულებრივი უფლებები შემგროვებელთათვის?				
ფლობს თუ არა შემგროვებელი ან მისი ჯგუფი მიწას, სადაც შეგროვება ხდება?				

მიღებული ზომები ჩვეულებრივ უფლებებთან დაკავშირებული კონფლიქტის ასაცილებლად:

### მოგების განაწილება

თემა	დიახ	არა	უცნობია	კომენტარები
თვლის თუ არა შემგროვებელი, რომ ადეკვატურად არის ჩართული ან წარმოდგენილი მანეჯმენტის დაგეგმვაში?				
იღებს თუ არა შემგროვებელი შესაბამის სარგებლობას რესურსების მისაწვდომობის ნებართვისთვის?				
მიღებული ზომები შესაბამისი მოგების განაწილების უზრუნველსაყოფად:				

### ბავშვთა შრომა

თემა	დიახ	არა	უცნობია	კომენტარები
შემგროვებელი 18 წლამდე ასაკისაა? თუ დიახ, მიუთითეთ ასაკი				
ნებისმიერი ბავშვი ან 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდა შემგროვებლის ოჯახიდან ეხმარება მას შეგროვების ან დამუშავების პროცესში?				
ნებისმიერი ბავშვი ან 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდა, რომელიც არ ეკუთვნის შემგროვებლის ოჯახს ეხმარება მას შეგროვების ან დამუშავების პროცესში?				
უწევს თუ არა შემგროვებელი ზედამხედველობას ნებისმიერ ბავშვსა თუ ახალგაზრდა შემგროვებელს?				
დებს თუ არა შემგროვებელი კონტრაქტს ნებისმიერ ბავშვთან ან ახალგაზრდა შემგროვებელთან შეგროვების ან დამუშავების პროცესში დახმარებისათვის?				

დადიან დამხმარე ბავშვები სკოლაში? შეგროვებაში ეხმარებიან მხოლოდ სკოლისგან თავისუფალ დროს?				
არსებობს თუ არა დაწყებითი 100% განათლება ბავშვებისთვის შეგროვების ტერიტორიაზე თუ დეფიციტია?				
თუ არიან დამხმარე ბავშვები ან შემგროვებლები, ზუსტად რა სამუშაოს ასრულებენ ისინი და რამდენი საათის განმავლობაში ყოველდღიურად?				
მიღებული ზომები ბავშვთა შრომის აკრძალული ფორმების თავიდან აცილებისა და შეწყვეტისათვის				

**ზოგად-სოციალური და (FairTrade) საბაზრო ვაჭრობის ასპექტები**

თემა	დიახ	არა	უცნობია ან არ არის ხელმისაწვდომი	კომენტარები
ჩაუტარდა თუ არა შემგროვებელს ტრენინგი Fairwild-ის სოციალური და საბაზრო ვაჭრობის ასპექტების შესახებ?				
არსებობს თუ არა შემგროვებელთა დისკრიმინაცია, მათი გარკვეული ჯგუფისადმი მიკუთვნებასთან დაკავშირებით სქესის, ასაკის, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის, და ა. შ. გათვალისწინებით?				
უხდიან თუ არა შემგროვებელს დროულად მისი მასალისათვის თუ ადგილი აქვს თუ არა დაყოვნებას?				
უხდიან თუ არა შემგროვებელს შეთანხმებულ ოდენობას თუ ადგილი აქვს დარღვევას?				
ფარავს თუ არა ანაზღაურება შემგროვებელს ოჯახის ძირითად მოთხოვნილებებს?				
იცის თუ არა შემგროვებელმა რამდენია საბაზრო ვაჭრობის პრემიები და რისთვის გამოიყენება ისინი? ვინ ატყობინებს მას?				
მიღებული ზომები სოციალური და საბაზრო ვაჭრობის ასპექტების გასაუმჯობესებლად თუ არსებობს				

დეფიციტი:

### ინსპექტორის დამტკიცების რეკომენდაციები

<b>წინა პირობებთან შესაბამისობა</b> <input type="checkbox"/> კარგი <input type="checkbox"/> ნაწილობრივი/მისაღები <input type="checkbox"/> მიუღებელი <input type="checkbox"/> არავითარი პირობები გასულ წელს
<b>მიმდინარე წლის შესაბამისობა</b> <input type="checkbox"/> დამტკიცება პირობების გარეშე <input type="checkbox"/> დამტკიცება პირობებით <input type="checkbox"/> არ შეიძლება დამტკიცება
პირობები (მაკორექტირებელი ზომები) ან განმარტება: (სერიოზული შეუსაბამობის შემთხვევაში, გთხოვთ შეავსეთ დარღვევის ფორმა)

### დეკლარაცია

შემგროვებული აქვე ადასტურებს, რომ ის ეთანხმება შიგა შეგროვების წესებს. შემგროვებელმა ჩაინიშნა პირობები	
შემგროვებლის ხელმოწერა	შიგა ინსპექტორის ხელმოწერა

### დამტკიცება ორგანიზაციის მიერ

<b>შესაბამისობა მიმდინარე წელს</b> <input type="checkbox"/> დამტკიცება პირობების გარეშე <input type="checkbox"/> დამტკიცება პირობებით <input type="checkbox"/> დაუმტკიცებელი
<b>დამატებითი პირობები ან სანქციები:</b>
<b>დამტკიცების მენეჯერის ხელმოწერა</b>